ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვივა, ვივა, ქალო ლამაზო!!


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 114 (4108)

1970 წ. 13 ივნისი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## სსრ კავშირი — სალვადორი 2:0
## ურუგვაი — შვეცია 0:1
## რუმინეთი — ბრაზილია 2:3
## პერუ — გფრ 1:3
## მექსიკა — ბელგია 1:0
## ისრაელი — იტალია 0:0
## ინგლისი — ჩეხოსლოვაკია 1:0
## ბულგარეთი — მაროკო 1:1

## ბოლო კალენდარული დღე

10 ივნისი

**სსრ კავშირი — სალვადორი 2:0 (0:0).** სალვადორელებთან გატანილი ორივე გოლის ავტორია საბჭოთა გუნდის ცენტრალური ფორვარდი ბიშოვეცი. პირველ წარმატებას მან მიაღწია 50-ე წუთზე, ხოლო მეორეს — 73-ზე.

**შვეცია — ურუგვაი 1:0 (0:0).** მიმდინარეობდა მატჩის 89-ე წუთი და ელექტროტაბლოზე ეწერა 0:0. და მაშინ, როცა ფინალურ სასტვენს 1 წუთი აკლდა, გრანმა გაიტანა გადამწყვეტი გოლი.

**ბრაზილია — რუმინეთი 3:2 (2:1).** ანგარიში მე-19 წუთზე გახსნა პელემ. 8 წუთის შემდეგ ჟაირზინიომ მეორე ბურთი გაიტანა, ხოლო დუმიტრაკემ 33-ე წუთზე გაქვითა 1 გოლი—2:1. შესვენების შემდეგ, 65-ე წუთზე პელემ კიდევ უფრო დააწინაურა თავისი გუნდი, მატჩის დამთავრებამდე 8 წუთით ადრე კი დემბროვსკიმ ისევ შეამცირა განსხვავება 1 ბურთამდე.

**გფრ — პერუ 3:1 (3:0).** ამ მატჩში „ჰეტ-ტრიკი" შეასრულა გერმანელთა თავდამსხმელმა მიულერმა, რომელმაც მე-20, 26-ე და 38-ე წუთებზე სამჯერ ზედიზედ აიღო პერუელთა კარი. ერთადერთი საპასუხო ბურთი მატჩის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე გაიტანა კუბილიასმა.

11 ივნისი

**მექსიკა— ბელგია 1:0 (1:0).** ეს ერთადერთი ბურთი ბელგიელთა კარში 11-მეტრიანი დარტყმით გაიტანა პენიამ.

**იტალია — ისრაელი 0:0.**

**ინგლისი — ჩეხოსლოვაკია 1:0 (0:0).** შეხვედრის 49-ე წუთზე ჩეხოსლოვაკიელთა კარში დაინიშნა პენალტი. იგი ზუსტად გამოიყენა კლარკმა.

**ბულგარეთი — მაროკო 1:1 (1:0).** ეს იყო პრესტიჟის მატჩი, ვინაიდან მის შედეგს არც ერთი გუნდისთვის არ შეეძლო რაიმე ხსნა მოეტანა. ანგარიში მე-40 წუთზე გახსნა ბულგარელმა ჟეჩევმა. ზუსტად 20 წუთის შემდეგ თანაფარდობა აღადგინა მახუბმა.

## კვლავ მეოთხედფინალში

მეხიკო, 11 ივნისი (საკდესის სპეც. კორ. ე. ბირუნი და ე. სარატოვი). ისევე, როგორც შვეციის, ჩილისა და ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატებში, სსრ კავშირის ნაკრების ფეხბურთელები კვლავ გავიდნენ მეოთხედფინალში. თავიანთ ბოლო მატჩში ჯგუფში მათ ოთხშაბათს „აცტეკის" სტადიონზე დაამარცხეს სალვადორის ნაკრები — 2:0 (0:0). ორივე გოლი 50-ე და 73-ე წუთებზე გაიტანა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ა. ბიშოვეცმა. სამი მატჩი — ხუთი გოლი. გატანილია 6 ბურთი, საკუთარ კარში მიღებულია მხოლოდ ერთი. სწორედ ასე მოხდა ინგლისის ჩემპიონატში, სადაც საბჭოთა სპორტსმენები პირველ ეტაპზე ხვდებოდნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, იტალიისა და ჩილის გუნდებს.



სურათზე: სსრ კავშირისა და სალვადორის გუნდების შეხვედრის მომენტი. ნახტომშია სალვადორელი მოთამაშე ფლამენკო.

ა. ხომიჩისა და ი. მორგულისის ფოტო (საკდესი).

პუებლაში ამ დღეს შვეციის ნაკრებმა მინიმალური ანგარიშით (1:0) აჯობა ურუგვაის გუნდს. მაგრამ „ტრე კრუნურს" ერთი ბურთი მაინც დააკლდა. ურუგვაელები, რომელთა კარშიც ბურთი მატჩის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე გავიდა, გამარჯვებას უფრო ზეიმობდნენ. საქმე ისაა, რომ ამ ქვეყნის ფეხბურთელები რვა უძლიერესი გუნდის რიცხვში მოხვდნენ.

ვის შეხვდებიან ურუგვაელები? ყველაფერი გადაწყდება ჩვენს ჯგუფში მექსიკისა და ბელგიის გუნდების მატჩის შემდეგ. ტურნირის მასპინძლებს ფრეც ხელს აძლევთ. მაგრამ მათ სურთ დიდი ანგარიშით გაიმარჯვონ, რათა მეხიკოში დარჩნენ და „აცტეკის" სტადიონზე ითამაშონ, ჩვენი გუნდი კი პუებლაში „გაგზავნონ".

მსოფლიოს ექსჩემპიონებმა ბრაზილიელებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს თავიანთი მაღალი ოსტატობა და სამართლიანი პრეტენზიები, როცა გვადალახარაში ანგარიშით 3:2 (2:1) მოუგეს რუმინეთის ნაკრებს. პელემ ამ მატჩში ორი ბურთი გაიტანა — მე-19 და 65-ე წუთებზე. ერთი გოლის ავტორია ჟაირზინიო (22-ე წუთი). ახლა ამ უკანასკნელს ოთხი ბურთი აქვს გატანილი, მაგრამ პირველი ეტაპის

(დასასრული მე-3 გვ.).

## ზ. ბერიაშვილი — ევროპის ჩემპიონი



ბერლინი, 12 ივნისი. თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ევროპული ჩემპიონატის ოქროს მედლების უმრავლესობა საბჭოთა და ბულგარეთის სპორტსმენებმა გაინაწილეს. ჩვენებს 4 ოქროს და 3 ვერცხლის მედალი აქვთ, ბულგარელებს — ოქროს 4, ვერცხლის 1 და 3 ბრინჯაოს მედალი.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: რ. გაჯიევი (სსრ კავშირი), ბ. ბაევი, ი. ივანოვი, ე. ტოდოროვი, ი. ჰუსეინოვი (ყველა — ბულგარეთი), ზ. ბერიაშვილი (სსრ კავშირი), ჰ. შტოტმაისტერი (გდრ), ბ. გურევიჩი (სსრ კავშირი), ა. აიკი (თურქეთი), ლ. კიტოვი (სსრ კავშირი). ვერცხლის მედლები წილად ხვდათ: პ. მალიანს, ვ. მარკელოვს და ი. იარიგინს. ლ. თედიაშვილმა მეოთხე წრეში წმინდად მოუგო პოლონელ კამპეკს, მაგრამ ტრავმა მიიღო და შეჯიბრებას გამოეთიშა.

• • •

სურათზე: ზ. ბერიაშვილი.

## მსოფლიო პირველობა

მეხიკო 1970 ფეხბურთი IX MEXICO

## სსრ კავშირის პირველობა



# საჭადრაკო შეხვედრა — „კოსმოსი — დედამიწა"

9 ივნისს გათამაშდა პირველი საჭადრაკო პარტია „კოსმოსი—დედამიწა". თამაშობდნენ კოსმოსური ხომალდის „სოიუზ—9" ეკიპაჟი — საბჭოთა კავშირის გმირი ა. ნიკოლაევი და ვ. სევასტიანოვი (თეთრები) და „დედამიწის ნაკრები" — საბჭოთა კავშირის გმირები ნ. კამანინი და ვ. გორბატკო.

ეს შეხვედრა კოსმონავტებს დედამიწამ შესთავაზა და თეთრებიც დიდსულოვნად დაუთმო. პირველი სვლა ა. ნიკოლაევმა გააკეთა, მეორე სვლა მეთაურთან თათბირის შემდეგ კოსმოსური ხომალდის ბორტინჟინერმა ვ. სევასტიანოვმა.

გთავაზობთ ამ საინტერესო, შინაარსიან პარტიას საერთაშორისო არბიტრის ი. რონლინის შენიშვნებით.

| | |
|---|---|
| ა. ნიკოლაევი | ნ. კამანინი |
| ვ. სევასტიანოვი | ვ. გორბატკო |

### ლაზიერის მიღებული გამბიტი

1. d4 d5 2. c4 dc 3. e3 e5.

შავებმა მწვავე გაგრძელება აირჩიეს, რომელიც იშვიათად გვხვდება საჭადრაკო პრაქტიკაში. უსარგებლოა e5-ზე პაიკის აყვანა, ვინაიდან ლაზიერების გაცვლის შემდეგ შავები ინიციატივას ეუფლებიან.

4. კ:c4 ed 5. ed მc6 6. კe3 კd6 7. მc3 მf6 8. მf3 0—0 9. 0—0 კg4.

სადებიუტო სტადია დამთავრდა. მეტოქენი ინიციატივისთვის ბრძოლას იწყებენ.

10. h3 კf5 11. მh4.

ნიკოლაევი და სევასტიანოვი ავიწროებენ შავების ფიგურებს, რათა მეფის ფრთაზე შეტევა დაიწყონ.

11. ... ლd7 12. ლf3 მe7 13. g4 კg6 14. ეae1 მფh8 15. კg5 მეg8 16. მg2 ეae8 17. კe3.

„სოიუზ-9" ეკიპაჟის გონებამახვილურმა თამაშმა აიძულა შავები დაცვაზე ეზრუნათ. კარგი იყო აგრეთვე, 17. მe3 შავ მეფეზე პაიკებით შეტევის განვითარებით.

17. ... კb4 18. a3 კ:c3 19. bc კe4 20. ლg3 c6 21. f3 კd5 22. კd3.

რა თქმა უნდა, კუს გაცვლა მხოლოდ შავებისთვის იყო ხელსაყრელი. თეთრუჯრედოვანი კუს შენარჩუნებით „სოიუზ-9" ეკიპაჟი განაგრძობს შეტევას.

22. ... b5.

აუცილებელი პროფილაქტიკური სვლა, რომელიც სპობს c პაიკის წინსვლის მუქარას.

23. ლh4 g6 24. მf4 კc4 25. კ:c4 bc 26. კd2. ე:e1 27. ე:e1 მd5 28. g5 ლd6 29. მ:d5 cd 30. კf4 ლd8.

შავებმა ზუსტი დაცვით გაათანაბრეს პოზიცია, თუმცა იგი შებოჭილის შთაბეჭდილებას ტოვებს. თეთრები კიდევ ერთხელ ცდილობენ უპირატესობის მოპოვებას.

31. კe5+f6 32. gf მ:f6 33. კ:f6+ ე:f6 34. ეe8+.

ლამაზი დაბოლოება, რომელიც თეთრებს არ აძლევს უპირატესობას, როგორც 34. ეe6, 34. ... მფg7-ის გამო.

34. ... ლ:e8 35. ლ:f6+.

ამ მდგომარეობაში მეტოქენი დაზავდნენ, რაც სავსებით კანონზომიერია. მართლაც, საკმარისია შავი ლაზიერი f7-ზე დადგეს, რომ მათი პოზიცია აუღებელი იქნება.

* * *

სურათზე: კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-9" მეთაური ანდრიან ნიკოლაევი და ბორტინჟინერი ვიტალი სევასტიანოვი ემზადებიან სპორტული ვარჯიშისთვის.

ვ. მუსაელიანის ფოტო (საკდესი).

# ჩვენი ცნობები

● პარიზი, 11 ივნისი. საფრანგეთის დედაქალაქში გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი აჩვენა ჟან-დირკ ნოიმ (გფრ), რომელმაც ბადრო 62,72 მეტრზე ტყორცნა. 20 წლის ფრანგმა ფ. თრაკანელიმ ჭოკით ხტომაში 510 სმ აჩვენა.

● ერფურტი, 11 ივნისი. გ. დიმიტროვის სახელობის სტადიონზე გამართულ შეჯიბრებაში კ. ბურნელეიტმა (გდრ) 1500 მეტრის გარბენას 4.14,2 მოანდომა. ეს საუკეთესო შედეგია ამ სეზონში მსოფლიოში და მეექვსე მძლეოსნობის ისტორიაში.

● ბელგრადი, 11 ივნისი. აქ ჩატარებულ საერთაშორისო ასპარეზობაში მ. ბაბოშეკმა (იუგოსლავია) 176 სმ სიმაღლე გადალახა. მისმა თანაგუნდელმა, მსოფლიო რეკორდსმენმა ვ. ნიკოლიჩმა 800 მეტრი დაფარა 2.04,8-ში. ვაჟებში ამ დისტანციაზე საუკეთესო იყო ი. პლახი (ჩეხოსლოვაკია) — 1.48,5.

● ბუდაპეშტი, 11 ივნისი. ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველ მატჩში მოსკოვის „დინამოს" ფრენბურთელ ქალთა გუნდმა დაამარცხა უნგრეთის „ნიმი" — 3:1 (15:13, 17:15, 10:15, 15:12). საპასუხო შეხვედრა გაიმართება 21 ივნისს მოსკოვში.

● ვოროშილოვგრადი, 11 ივნისი. სსრ კავშირში სტუმრად მყოფმა ბირმის ფეხბურთელთა ახალგაზრდულმა გუნდმა აქ შეხვედრა ჩაატარა ადგილობრივ „ზარიასთან". მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ — 0:0.

● პარიზი, 11 ივნისი. 9 დიდოსტატი და ოსტატი ებრძვის ერთმანეთს მონტე-კარლოში გამართულ მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში, რათა გაისად მატჩში შეხვდეს მსოფლიო ჩემპიონ ა. ანდრეიკოს. ჯერჯერობით წინაა ჰოლანდიელი სეიბრანდსი, რომელსაც 3 ქულა აქვს (3-დან). ფრანგმა იზარმა 2,5 ქულა დააგროვა.

## 1970 ფეხბურთი

### I ჯგუფი — „ა" კლასი

9 ივნისის მატჩები „ა" კლასის I ჯგუფში დამთავრდა ასეთი შედეგებით: „ყუბანი" (კრასნოდარი) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) 0:0, „მეტალისტი" (ხარკოვი) — „მოლდოვა" (კიშინიოვი) 1:1, ასკ (კიევი) — „სტროიტელი" (ხარკოვი) 2:1, „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „პამირი" (დუშანბე) 0:0, „დაუგავა" (რიგა) — „ალგა" (ფრუნზე) 2:1, ასკ (ხაბაროვსკი) — „ყაირათი" (ალმა-ათა) 1:1, „შახტიორი" (ყარაგანდა) — „ვოლგარი" (ასტრახანი) 0:1, „დინამო" (ლენინგრადი) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) 2:0, „რუბინი" (ყაზანი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 1:0, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) 0:2.

#### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 13 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 12 | 8 | 4 | 0 | 15—2 | 20 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 12 | 7 | 3 | 2 | 12—3 | 17 |
| „მეტალისტი" (ხარკოვი) | 12 | 5 | 6 | 1 | 16—8 | 16 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 11 | 7 | 2 | 2 | 13—6 | 16 |
| „კარპატი" (ლვოვი) | 12 | 5 | 5 | 2 | 15—7 | 15 |
| ასკ (ხაბაროვსკი) | 12 | 4 | 5 | 3 | 8—4 | 13 |
| „რუბინი" (ყაზანი) | 12 | 5 | 3 | 4 | 10—8 | 13 |
| „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 11 | 3 | 6 | 2 | 11—7 | 12 |
| „ვოლგარი" (ასტრახანი) | 12 | 5 | 2 | 5 | 12—12 | 12 |
| „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) | 12 | 3 | 6 | 3 | 11—12 | 12 |
| „ყუბანი" (კრასნოდარი) | 12 | 3 | 6 | 3 | 5—7 | 12 |
| ასკ (კიევი) | 12 | 5 | 1 | 6 | 17—15 | 11 |
| „ყაირათი" (ალმა-ათა) | 11 | 3 | 5 | 3 | 12—10 | 11 |
| „დინამო" (ლენინგრადი) | 12 | 4 | 3 | 5 | 14—17 | 11 |
| „შახტიორი" (ყარაგანდა) | 12 | 3 | 5 | 4 | 7—11 | 11 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 12 | 4 | 3 | 5 | 6—12 | 11 |
| „პამირი" (დუშანბე) | 12 | 3 | 4 | 5 | 11—14 | 10 |
| „დაუგავა" (რიგა) | 12 | 3 | 4 | 5 | 9—18 | 10 |
| „მოლდოვა" (კიშინიოვი) | 12 | 2 | 5 | 5 | 6—9 | 9 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 12 | 3 | 2 | 7 | 10—14 | 8 |
| „ალგა" (ფრუნზე) | 11 | 2 | 3 | 6 | 5—13 | 7 |
| „სტროიტელი" (აშხაბადი) | 12 | 1 | 1 | 10 | 5—21 | 3 |

### II ჯგუფი — „ა" კლასი

#### II ზონა

9 ივნისს გორის „დილას" გასვლითი მატჩი ჰქონდა სტავროპოლში, ადგილობრივ დინამოელებთან. გორელებმა იგი ფრედ დაამთავრეს — 1:1.

სხვა შეხვედრათა შედეგები „ა" კლასის II ჯგუფის II ზონაში ასეთია: „დინამო" (მახაჩყალა) — „მაშუკი" (პიატიგორსკი) 1:1, „ფოლადი" (სუმგაითი) — „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) 0:0, „დინამო" (კიროვაბადი) — „დრუჟბა" (მაიკოპი) 0:0, „სტალი" (ვოლგოგრადი) — „შირაკი" (ლენინაკანი) 0:0, „ლოკომოტივი" (კალუგა) — „სალუტი" (ბელგოროდი) — 1:1, „დინამო" (ბრიანსკი) — „მეტალურგი" (ლიპეცკი) 0:2, „შინიკი" (იაროსლავლი) — „ვოლგა" (კალინინი) 1:2, „სატურნი" (რიბინსკი) — „ვოლგა" (გორკი) 2:1.

#### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 13 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" (ტულა) | 11 | 8 | 3 | 0 | 20—7 | 19 |
| „ტორპედო" (ტაგანროგი) | 12 | 6 | 5 | 1 | 14—5 | 17 |
| „დინამო" (სტავროპოლი) | 12 | 6 | 4 | 2 | 14—11 | 16 |
| „მაშუკი" (პიატიგორსკი) | 12 | 5 | 5 | 2 | 14—11 | 15 |
| „ლოკომოტივი" (კალუგა) | 12 | 5 | 5 | 2 | 12—11 | 15 |
| „შინიკი" (იაროსლავლი) | 12 | 4 | 6 | 2 | 8—4 | 14 |
| „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) | 12 | 4 | 5 | 3 | 15—4 | 13 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 12 | 5 | 3 | 4 | 14—8 | 13 |
| „ვოლგა" (კალინინი) | 12 | 6 | 1 | 5 | 15—12 | 13 |
| „დინამო" (ბათუმი) | 12 | 4 | 5 | 3 | 10—9 | 13 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 12 | 4 | 4 | 4 | 13—10 | 12 |
| „სალუტი" (ბელგოროდი) | 12 | 4 | 4 | 4 | 16—15 | 12 |
| „სტალი" (ვოლგოგრადი) | 12 | 3 | 6 | 3 | 11—10 | 12 |
| „დრუჟბა" (მაიკოპი) | 12 | 4 | 4 | 4 | 10—10 | 12 |
| „დილა" (გორი) | 12 | 4 | 3 | 5 | 13—15 | 11 |
| „ვოლგა" (გორკი) | 12 | 4 | 3 | 5 | 13—17 | 11 |
| „დინამო" (მახაჩყალა) | 12 | 4 | 3 | 5 | 13—18 | 11 |
| „სატურნი" (რიბინსკი) | 12 | 2 | 6 | 4 | 10—16 | 10 |
| „ფოლადი" (სუმგაითი) | 12 | 2 | 5 | 5 | 6—8 | 9 |
| „მეტალურგი" (ლიპეცკი) | 12 | 2 | 4 | 6 | 12—19 | 8 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 11 | 0 | 3 | 8 | 7—19 | 3 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 12 | 0 | 3 | 9 | 4—25 | 3 |

## რესპუბლიკის სპორტული ცხოვრება

### „ტყავის ბურთის" პრიზზე

**◆ კასპი**

30 გუნდი მონაწილეობდა ნორჩ ფეხბურთელთა ტრადიციულ შეჯიბრებაში.

უმცროსი ასაკის კატეგორიაში გაიმარჯვა რუსთაველის ქუჩის გუნდმა „სხივმა". უფროს ასაკში წინ არიან სტალინის ქუჩის „ივერიის" ფეხბურთელები.

ლ. ელისაბედაშვილი.

**◆ აბაშა**

რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა სარაიონო გათამაშება „ტყავის ბურთის" პრიზზე. შეჯიბრება დასაწყისში მიმდინარეობდა ზონებში, ხოლო შემდეგ — ფინალურ ჯგუფში.

უმცროს ასაკში გაიმარჯვეს მარნის, ხოლო უფროს ასაკში — სუჯუნის ფეხბურთელებმა.

რ. ფანტურია.

**◆ ფოთი**

„ვოდნიკის" სტადიონზე ჩატარდა ტრადიციული შეჯიბრება „ტყავის ბურთის" პრიზზე.

უმცროს ასაკში ყველას აჯობა ნაბადის უბნის კომუნალური მეურნეობის სახლმმართველობის გუნდმა, რომელიც გამოდიოდა „იმედი-2-ის" სახელით (მწვრთნელი ბ. ბასილაია).

უფროს ასაკში დაწინაურდა ქუნძულის უბნის გუნდი — „ძერჟინსკელები" (მწვრთნელი ტ. მანია).

შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს თენგიზ და თამაზ ცქვიტაიებმა, ნ. ალექსანდრიამ, ბ. ლომაიამ, ა. პირტახიამ, რ. ღურწკაიამ და სხვებმა.

ბ. ბასილაია.

### „ბ" კლასი

#### I ქვეჯგუფი, II ზონა

# ლიდერთა მატჩი

ჩვენი რესპუბლიკის გუნდები „ბ" კლასის II ზონაში — რუსთავის „მეტალურგი" და ტყიბულის „მეშახტე" ლიდერთა შორის იმყოფებიან და, ამას გარდა, ჯერჯერობით დაუმარცხებლად იბრძვიან. ამიტომ მათი 10 ივნისის შეხვედრა რუსთავის სტადიონზე დიდ ინტერესს იწვევდა. მართალია, მატჩის წინ ძლიერი წვიმა წამოვიდა, რომელმაც გუბეებით დაფარა სათამაშო მინდორი, მატჩი მიმდინარეობდა სწრაფ ტემპში და ხშირ ორმხრივ იერიშებში. მასპინძლებს უკვე მე-2 წუთზე მიეცათ ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა, მაგრამ ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ ლობჟევს დაასწრეს მცველებმა და უვნებელყვეს სახიფათო მომენტი.

მეტალურგები იერიშზე იმყოფებოდნენ და სწორედ მაშინ შეძლო „მეშახტემ" კონტრშეტევის განხორციელება. ასიტაშვილმა მიაწოდა ბურთი თოდრიეს და ამ უკანასკნელმა ზუსტად დაარტყა მიზანში — 1:0.

არ გასულა ორიოდე წუთი და სტუმრები აშკარა ხიფათის წინაშე აღმოჩნდნენ: ლობჟევმა მოატყუა მცველი, შემდეგ კი მეკარეს გადაუგდო თავს ზემოთ ბურთი. თითქოს გარდუვალ გოლს ბოლო წამს მოუსწრო ლორთქიფანიძემ და გადაარჩინა კარი. ამის შემდეგ რამდენიმე ძნელი ბურთის აღება მოუხდა ტყიბულელთა მეკარე ბუაძეს.

და მაინც, „მეტალურგმა" შეძლო ანგარიშის გათანაბრება. საპასუხო ბურთის ავტორი იყო ლობჟევი — 1:1.

რ. გაბრიჩიძე.

* * *

ამ დღეს ზონაში ჩატარდა სხვა მატჩებიც: „კახეთი" (თელავი) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 3:0, „ალაზანი" (გურჯაანი) — „სულორი" (ვანი) 3:2, „კოლხეთი" (ფოთი) — „დინამო" (სოხუმი) 0:0, „მერცხალი" (მახარაძე) — „გურია" (ლანჩხუთი) 0:0, „პროგრესი" (კამენსკ-შახტინსკი) — „მეტალურგი" (კრასნი სულინი) 3:2, „ორბიტა" (ბელაია კალიტვა) — „სპარტაკი" (რიაზანი) 2:1, „სპარტაკი" (ტამბოვი) — „სპარტაკი" (სარანსკი) — 1:1, „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) — „ტორპედო" (ეისკი) 1:2.

#### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 13 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო" (ეისკი) | 7 | 4 | 2 | 1 | 14—5 | 10 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 7 | 3 | 4 | 0 | 7—4 | 10 |
| „კახეთი" (თელავი) | 7 | 4 | 1 | 2 | 12—6 | 9 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 7 | 2 | 5 | 0 | 9—7 | 9 |
| „პროგრესი" (კამენსკ-შახტინსკი) | 7 | 2 | 4 | 1 | 11—8 | 8 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 7 | 1 | 6 | 0 | 9—6 | 8 |
| „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) | 7 | 2 | 4 | 1 | 6—4 | 8 |
| „სპარტაკი" (სარანსკი) | 7 | 2 | 4 | 1 | 5—3 | 8 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 7 | 3 | 2 | 2 | 7—6 | 8 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 7 | 2 | 3 | 2 | 6—4 | 7 |
| „სპარტაკი" (რიაზანი) | 7 | 3 | 0 | 4 | 12—11 | 6 |
| „ორბიტა" (ბელაია კალიტვა) | 7 | 2 | 2 | 3 | 6—8 | 6 |
| „დინამო" (სოხუმი) | 7 | 1 | 3 | 3 | 5—7 | 5 |
| „სპარტაკი" (ტამბოვი) | 7 | 1 | 3 | 3 | 5—8 | 5 |
| „მეტალურგი" (კრასნი სულინი) | 7 | 2 | 1 | 4 | 7—11 | 5 |
| „სულორი" (ვანი) | 7 | 1 | 3 | 3 | 6—12 | 5 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 7 | 2 | 1 | 4 | 7—15 | 5 |
| „სპარტაკი" (ცხინვალი) | 7 | 1 | 2 | 4 | 3—12 | 4 |




## ვინ რას ამბობს?

ევროპის, კერძოდ, ბელგიის გაზეთებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია არგენტინელი არბიტრის კორესის მსაჯობამ მექსიკისა და ბელგიის ნაკრები გუნდების მატჩში. მათი ერთსულოვანი აზრით, კორესმა უნაკლოდ ჩაატარა მატჩი, სანამ საბედისწერო და ერთობ პრობლემატურ პენალტს დანიშნავდა ბელგიელთა კარში და ასევე უნაკლოდ დაამთავრა თავისი საქმიანობა იმ მომენტიდან, როცა მექსიკელებმა მოახდინეს ამ პენალტის რეალიზაცია.

„ლიბრ ბელჟიკი" — ბელგიური გაზეთი, ვრცელ კომენტარს უკეთებს თავისი ქვეყნისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების მატჩს. იგი განსაკუთრებით ხაზს უსვამს საბჭოთა ფეხბურთელთა უპირატესობას მინდვრის ცენტრში, სადაც ბატონობდნენ ასათიანი და მუნტიანი.

იტალიელმა მწვრთნელებმა ბელგია-სსრ კავშირის გუნდების თამაშზე საგანგებოდ მიავლინეს სპეციალისტი ვიჩინი, რომელსაც მათთვის დაწვრილებითი ინფორმაცია უნდა მიეწოდებინა სავარაუდო მოწინააღმდეგეებზე. ვიჩინის განსაკუთრებით მოეწონა საბჭოთა გუნდის დაცვა. მოთამაშეთა საუკეთესო ათლეტური მონაცემები.

ბულგარული გაზეთის „ნაროდნ სპორტის" სპეციალური კორესპონდენტი მექსიკაში ა. იასნიკოვი წერს, რომ ინგლისის ნაკრებთან მატჩში ბრაზილიელებმა აჩვენეს თამაში, რომელიც ბევრ რამეში ახლოს დგას იდეალურთან.

„დი ველტი" (გფრ) ანალიზს უკეთებს საბჭოთა ფეხბურთელთა გამარჯვებას ბელგიელებთან მატჩში. გაზეთი გამოყოფს ბიშოვეცს, ასათიანს, მუნტიანს და შესტერნიოვს.

მექსიკური რადიოს კომენტარში ხაზგასმულია, რომ ბიშოვეცმა კიდევ ერთხელ ისახელა თავი, როგორც ექსტრა-კლასის ფორვარდმა. ამავე კომენტარში ერთობ მაღალი შეფასება ეძლევა კავაზაშვილის თამაშს.

საბჭოთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა გ. კაჩალინმა კორესპონდენტების შეკითხვაზე, თუ რა განსხვავებაა ინგლისისა და მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატებს შორის, თქვა: „კონტრასტი თვალსაჩინოა. მსოფლიო ჩემპიონატის სტილი შეტრიალდა 180 გრადუსით. ახლა ესაა არა დაცვითი, არამედ შემტევი ფეხბურთი. ამას მოწმობს არა მარტო დიდი ანგარიში მრავალ შეხვედრაში, არამედ თვით თამაშის შინაარსიც. აიღეთ ბრაზილიისა და ინგლისის მატჩი. მიუხედავად მინიმალური ანგარიშისა, ორივე მხარემ შემტევი სტილი აჩვენა. ფეხბურთი უფრო ღია გახდა. 4 წლის წინ ყველას წაგებისა ეშინოდა, ახლა კი თითოეული მონაწილე ცდილობს გაიმარჯვოს. ფეხბურთი სულ უფრო საინტერესო ხდება".

ბევრ სპეციალისტს მიაჩნდა, რომ ბრაზილიელები თავიანთ მატჩს რუმინეთის გუნდთან უყურებდნენ როგორც შესაძლებლობას გამოეთიშათ ინგლისის ნაკრები. ეს მოსაზრებანი გაფანტა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა მ. ზაგალომ. „არავითარი დათმობა და კულისებს მიღმა სტრატეგიები. გამოვიყვანთ უძლიერეს შემადგენლობას და ვიბრძოლებთ გამარჯვებისთვის. ჩვენ ჩემპიონობა გვინდა". ბრაზილიელებმა ასეც გააკეთეს.

სსრ კავშირის ნაკრებში, სალვადორელებთან გამარჯვების შემდეგ, მექსიკური გაზეთები განსაკუთრებით გამოჰყოფენ შესტერნიოვს, აფონინს, ხურცილავას, ბიშოვეცს.

# კვლავ მეოთხედფინალში

დასასრული

ყველაზე შედეგიან ფორვარდად იგი მაინც არ ითვლება. გფრ-ის ნაკრების მოთამაშემ მიულერმა 10 ივნისს პერუელთა კარში 3 გოლი გაიტანა, რამაც მის გუნდს მოუტანა გამარჯვება ანგარიშით 3:1. ახლა მიულერი შვიდი გოლის ავტორია. ოთხი ბურთი (ისევე როგორც ჟაირზინიომ) გაიტანა ბიშოვეცმა.

იმის შესახებ, როგორ მიმდინარეობდა მატჩი სალვადორის ნაკრებთან, რა აღელვებდათ ჩვენს ფეხბურთელებს თამაშის დროს, გვიამბობენ თვით შეხვედრის მონაწილეები.

**ანზორ კავაზაშვილი:** „ჩემთვის სალვადორის გუნდთან თამაში საკმაოდ იოლად წარიმართა. მაგრამ, გულახდილად რომ გითხრათ, მაინც ძალიან ვღელავდი. ჩვენი გუნდის ყველა წევრი დარწმუნებული იყო გამარჯვებაში. ესე იგი, შეიძლებოდა მათ სათანადოდ ვერ შეეფასებინათ მეტოქის ძალა. როცა მექსიკელებსა და ბელგიელებს ვხვდებოდით, მე ვიცოდი, რომ ჩვენი ყველა მოთამაშე თავდაუზოგავად იბრძოლებდა. ახლა კი შეიძლებოდა ზედმეტ სიმშვიდეს ხელიც შეეშალა. არადა, განა შეიძლებოდა ასეთ მატჩში თუნდაც ერთი ბურთის გაშვება?"

**რევაზ ძოძუაშვილი:** „ვერ ვიტყვი, რომ ამ მატჩში რაიმე რთული მომენტები შემხვდა. მწვავე სიტუაციები არ შექმნილა. სალვადორელებს მხოლოდ კონტრიერიშის იმედი უნდა ჰქონოდათ. თქვენ კი იცით, რა სახიფათოა ზრმა, შემთხვევითი გოლი. ერთი სიტყვით, ამ მატჩში მე წინ გაჭრა არ მიცდია. ჩემი საქმე საკუთარი ფლანგის „ჩაკეტვა" იყო.

**ალბერტ შესტერნიოვი:** „ძალიან ადვილად, თავისუფლად ვთამაშობდი, მშვენიერ გუნებაზე ვიყავი და ძალის მოზღვავებას ვგრძნობდი. გამუდმებით წინ მინდოდა ვყოფილიყავი, ბიჭებს დავხმარებოდი".

**ვლადიმერ მუნტიანი:** „ამ მატჩის დროს მეხიკოში ყველაზე „საჩვენო" ამინდი იყო — გრილოდა, ცრიდა. ერთი სიტყვით, არც სუნთქვა გვიჭირდა, არც სირბილი".

**ანატოლი ბიშოვეცი:** „ვერ ვიტყვი, რომ სალვადორის გუნდთან კარგად ვითამაშეთ, განსაკუთრებით იერიშების დასკვნით სტადიაში. ზოგჯერ არც ბედი გვწყალობდა მაინცდამაინც. როგორც ჩანს, ასეთია ფეხბურთი: ხანდახან თითქოს იოლ მატჩშიც ბევრი უსიამოვნო წუთის გადატანა გიხდება".

**ვიტალი ხმელნიცკი:** „მე მაინცდამაინც არ მომიწყენია. მატჩი მშვენივრად წარიმართა. ეს კია, რომ ახლაც ვერ გამიგია, როგორ ვერ გავიტანე ბურთი ორ აშკარად ხელსაყრელ სიტუაციაში? ალბათ, ხდება ხოლმე..."

სსრ კავშირის ნაკრები ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: კავაზაშვილი, ძოძუაშვილი, ხურცილავა, შესტერნიოვი, აფონინი, კისელიოვი (ასათიანი), მუნტიანი, სერებრიანიკოვი, ბიშოვეცი, პუზაჩი, ხმელნიცკი.

ლევ იაშინი მეოთხედ მონაწილეობს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ თამაშებში. ჯერჯერობით ჩვენი სახელგანთქმული მეკარე მატჩებს თვალს ადევნებდა, როგორც სათადარიგო მოთამაშე. ამიტომ საინტერესოა მისი აზრის მოსმენა:

„მსოფლიო ჩემპიონატში თამაში მუდამ ძნელია. მეხიკოში ჩემმა ახალგაზრდა კოლეგებმა სამივე მატჩი კარგად ჩაატარეს. წინაა ჰთავარი ბრძოლა. ჩვენ კიდევ არ ვიცით, რომელი ქვეყნის ფეხბურთელები იქნებიან საბჭოთა გუნდის მეტოქეები — იტალიის თუ ურუგვაისა, ისე კი, ბევრჯერ და წარმატებითაც გვითამაშია ორივე გუნდთან".

დიახ, რთულია მეოთხედფინალის გზა. შეიძლება ამიტომ იყო, რომ ჩვენი ბიჭები ძალიან ღელავდნენ. ისინი დაქანცულნი დაბრუნდნენ სასტუმრო „ესკარგოტში", სახელდახელოდ ივახშმეს და ისევ ავტობუსში ჩასხდნენ. მიღებაზე საბჭოთა ელჩმა ი. კ. კოლოსოვსკიმ ფეხბურთელებს ვერცხლის მედლები გადასცა. მექსიკის პრეზიდენტის გუსტავო დიას ორდასის ეს ჯილდოები საბჭოთა გუნდის წევრებმა მიიღეს IX მსოფლიო ჩემპიონატის გახსნის დღეს კორექტული თამაშისთვის.

... ფურცელი, რომელზეც წინასწარ დათქმული ნიშანი იქნება აღბეჭდილი, რომელიმე გუნდს მეოთხედფინალის გზას გაუხსნის, თუ ფეხბურთელები მინდორზე ვერ გაარკვევენ ურთიერთობას. ფიფა-მ წინასწარ გადაწყვიტა, რომ, თუ ორი ან ორზე მეტი გუნდი ქვეჯგუფებში ქულათა თანაბარ რაოდენობას დააგროვებს და გატანილი და მიღებული ბურთების ერთნაირი სხვაობა ექნებათ, სასტუმრო „მარია ისაბელში" კენჭისყრა მოეწყობა. ამ ცერემონიას პრესის წარმომადგენლები ვერ დაესწრებიან, მაგრამ იგი ტელევიზიით გადაიცემა.

## ლევ იაშინი და ანტონიო კარბახალი

მექსიკის ფეხბურთის გმირი ანტონიო კარბახალი, რომელიც თავისი ეროვნული გუნდის კარს 5 მსოფლიო ჩემპიონატში იცავდა, ახლა ლეონის კლუბს წვრთნის. იგი ხშირად ხვდება საბჭოთა მეკარე ლევ იაშინს, რომლისთვისაც მექსიკის ჩემპიონატი რიგით მეოთხეა. ორი სახელგანთქმული მეკარე მალე დაუმეგობრდა ერთმანეთს და მათი შეხვედრები მუდამ მექსიკის პრესის ყურადღების ცენტრშია. იაშინი ჯერ არ გამოსულა „აცტეკის" მინდორზე, მაგრამ მასზე უკვე ბევრს წერენ. გაზეთებში ხშირად იბეჭდება საქმეში ჩაუხედავი კაცისთვის გაუგებარი ეპითეტები: „შავი ობობა", „მფრინავი რუსი", „ოთხი თასი" და სხვა. ეს ყველაფერი ლევ იაშინის შესახებაა ნათქვამი.

ამას წინათ გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობა, რომ ანტონიო კარბახალმა ლევ იაშინს ხელით მოქსოვილი შესანიშნავი ხალიჩა აჩუქა. ამ ხალიჩაზე ამოქარგულია ნამგალი და ურო, იაშინისა და კარბახალის სახელები და სამახსოვრო წარწერა — „მეხიკო—70".

## ზაგალო ტაქტიკას ცვლის

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ბრაზილიელთა მწვრთნელი მარიო ზაგალო უყოყმანოდ აცხადებდა, რომ მისი გუნდი უძლიერესია მსოფლიოში და მეხიკოში ამ გუნდის ერთადერთი მიზანი ჟიულ რიმეს თასის სამუდამოდ მოპოვება იქნება. მაგრამ როცა




ბრაზილიის ნაკრებმა ჩეხოსლოვაკიისა და ინგლისის გუნდების დამარცხებით პრაქტიკულად გაინაღდა მეოთხედფინალის საგზური, ზაგალომ მოულოდნელად შეცვალა ტონი. ინგლისელებთან მატჩის შემდეგ ბრაზილიელთა მწვრთნელმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონებმა საუცხოოდ იციან ტექნიკა და ტაქტიკა, რომ ისინი ძალიან ძლიერად თამაშობდნენ და ამ მატჩში გამარჯვება თამამად შეეძლოთ. ზაგალომ აღიარა, რომ თამაშის ბოლო წუთამდე თავს მოუსვენრად გრძნობდა და გამუდმებით საფრთხეს ელოდა. მეორე დღეს მან ჟურნალისტებთან კიდევ უფრო მოკრძალებულად ეჭირა თავი. „ჩვენ ჯერ კიდევ არა ვართ გასული მეოთხედფინალში, — სერიოზულად განაცხადა ზაგალომ. — თეორიულად შეიძლება ვერც მივიღოთ ეს საგზური. ამიტომ რუმინელებთან მატჩს იოლ შეხვედრად არ ვთვლით, დამერწმუნეთ. ვეცდებით თავი ავარიდოთ რისკს და ძირითადად იმავე შემადგენლობას გამოვიყვანთ, რომლითაც ინგლისელებთან მატჩში ვთამაშობდით".

## რას დაარქმევენ თასს?

ცნობილია, რომ გუნდს, რომელიც სამჯერ მოიპოვებს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს, ჟიულ რიმეს თასი სამუდამოდ გადაეცემა. თუ მექსიკის ჩემპიონატში ბრაზილიის, იტალიის ან ურუგვაის გუნდებმა გაიმარჯვეს, ამ თასის გათამაშებაც დამთავრდება. 1974 წელს მსოფლიოს უძლიერესი ეროვნული გუნდები უკვე სხვა თასისთვის იბრძოლებენ, მაგრამ რა ერქმევა ამ პრიზს? თავიანთ გამარჯვებაში დარწმუნებული ბრაზილიელები წინადადებას იძლევიან მათივე სახსრებით დამზადდეს ახალი თასი, რომელსაც „ბრაზილიური თასი" დაერქმევა. ჩემპიონატის ორგანიზატორებმა ფიფა-ში შეიტანეს წინადადება, რომ დამზადდეს ახალი თასი „მეხიკო". ინგლისელები თვითონაც ოცნებობენ ოქროს ქალღმერთის მეორედ მოპოვებაზე, მაგრამ იმ შესაძლებლობასაც უშვებენ, რომ გამარჯვება ბრაზილიელებს, იტალიელებს ან ურუგვაელებს დარჩებათ. ამ შემთხვევაში ისინი თანახმა არიან დაამზადონ ახალი პრიზი, იმ პირობით, თუ მას „უინსტონ ჩერჩილი" ერქმევა. წამოყენებულია სხვა წინადადებებიც, რომლებსაც ჯერჯერობით ფიფა-ს წევრები არ განიხილავენ, რადგან ჟიულ რიმეს თასის ბედი ჯერ კიდევ არაა გადაწყვეტილი.

## მეტოქეს კენჭისყრა დაასახელებს

მეხიკო, 12 ივნისი (საკდესის სპეც. კორ. ე. ბირუნი, ა. კაჩალოვი, ე. სარატოვი). სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების მეტოქე მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალში ცნობილი გახდება დღეს, დილის 11 საათზე ადგილობრივი დროით (მოსკოვის დროით — 20 საათზე). ფიფა-ს შტაბ-ბინაში, სასტუმრო „მარია ისაბელში" მოეწყობა კენჭისყრა, რომელიც გაარკვევს, ვისთან მოგვიხდება თამაში — იტალიის გუნდთან თუ ურუგვაის ნაკრებთან.

მექსიკის ფეხბურთელებმა მოუგეს ბელგიელებს — 1:0. ამის შემდეგ სსრ კავშირისა და მექსიკის გუნდებს ქულათა თანაბარი რაოდენობა დაუგროვდათ. მათ გატანილი და მიღებული გოლების სხვაობაც ერთნაირი აქვთ.

ურუგვაელმა ფეხბურთელებმა წინადღით გაინაღდეს ადგილი რვა უძლიერეს გუნდს შორის. დღეს ფინალში მოხვდა იტალიის ნაკრები, რომელმაც ტოლუკაში ფრედ დაამთავრა შეხვედრა ისრაელის გუნდთან. თავიანთ ჯგუფში იტალიელები I ადგილზე გავიდნენ.

ამავე საათებში გვადალახარაში მსოფლიო ჩემპიონებმა — ინგლისელებმა დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიის გუნდი — 1:0. ლეონში მეოთხე ჯგუფის აუტსაიდერების ბულგარეთისა და მაროკოს ფეხბურთელების შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 1:1.

აი, მეოთხედფინალური მატჩების მონაწილენი: სსრ კავშირი, მექსიკა, იტალია, ურუგვაი, ბრაზილია, ინგლისი, გფრ, პერუ.

მექსიკისა და ბელგიის მატჩის შემდეგ ტელეკომენტატორმა თქვა: „ჩვენმა ნაკრებმა გაიტანა გოლი, რომელსაც მოუთმენლად ელოდა მთელი ერი". მართლაც, ამ გოლმა, რომელმაც გამარჯვება მოუტანა მექსიკელ ფეხბურთელებს, მთელი ერის ნამდვილი ზეიმი გამოიწვია. მექსიკელები პირველად მოხვდნენ მსოფლიოს რვა უძლიერესი გუნდის რიცხვში. მაგრამ ბელგიელების დამარცხება არც ისე იოლი აღმოჩნდა, როგორც მასპინძლები ვარაუდობდნენ. გულშემატკივრებმა ნახეს მწვავე მომენტებით აღსავსე საინტერესო მატჩი. ორივე გუნდის მოთამაშეებმა ჩინებული ტექნიკა, ოსტატობა და გამარჯვების რწმენა გამოავლინეს. სამწუხაროდ, შთაბეჭდილება წაახდინა არგენტინელი მსაჯის კორესის საეჭვო გადაწყვეტილებამ, რომელმაც მე-16 წუთზე ბელგიელთა კარში 11-მეტრიანი დარტყმა დანიშნა. მსაჯის სასტვენმა ბელგიელთა დიდი აღშფოთება გამოიწვია. ფეხბურთელები მსაჯს მისცვივდნენ და ენერგიულად გამოხატავდნენ თავიანთ პროტესტს, მაგრამ დარტყმა მაინც დაინიშნა. ბელგიის ნაკრების მეკარე ბურთს ვერ მისწვდა, თუმცა მექსიკელთა კაპიტანმა პენიამ არც ისე ძლიერად დაარტყა. ამ გოლმა გააქეზა ბელგიელები, მაგრამ, მნიშვნელოვანი უპირატესობის მიუხედავად, მათ მაინც ვერ გაიმარჯვეს.

მისვლა სტადიონამდე, როცა მექსიკის ნაკრები თამაშობს, ძალიან ძნელია. მგზავრობას თითქმის ხუთი საათი სჭირდება. ამიტომ საბჭოთა ფეხბურთელებმა ამჯობინეს მინდვრის მასპინძლებისა და ბელგიელების მატჩი ტელეეკრანზე ენახათ. რასაკვირველია, ჩვენს გუნდს ძალიან უნდა სათამაშოდ „აცტეკის" სტადიონზე დარჩეს, მაგრამ ახლა ყველაფერს კენჭისყრა გადაწყვეტს. მაშ ასე, იტალია თუ ურუგვაი? იტალიელთა თამაშის სანახავად ტოლუკაში გაემგზავრნენ საბჭოთა გუნდის უფროსი ა. სტაროსტინი და ნაკრების უფროსი მწვრთნელი გ. კაჩალინი.

გ. იაშვილის ნახატები.




— ხუანიტო, ნუ მიშლი ხელს, ნუ ეშმაკობ!..



—ბოდიში, ხომ ვერ მეტყვით, რა ანგარიშია?..

**მსოფლიო პირველობა**

**ივნისი 1970 ფეხბურთი IX MEXICO**

# ყველა გრაფა შეივსო




## I მეხიკო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | | 0:0 | 4:1 | 2:0 |
| მექსიკა | 0:0 | | 1:0 | 4:0 |
| ბელგია | 1:4 | 0:1 | | 3:0 |
| სალვადორი | 0:2 | 0:4 | 0:3 | |

## II ტოლუკა, პუებლა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ურუგვაი | | 2:0 | 0:0 | 0:1 |
| ისრაელი | 0:2 | | 0:0 | 1:1 |
| იტალია | 0:0 | 0:0 | | 1:0 |
| შვეცია | 1:0 | 1:1 | 0:1 | |

## III გვადალახარა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | | 0:1 | 2:1 | 2:3 |
| ინგლისი | 1:0 | | 1:0 | 0:1 |
| ჩეხოსლოვაკია | 1:2 | 0:1 | | 1:4 |
| ბრაზილია | 3:2 | 1:0 | 4:1 | |

## IV ლეონი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პერუ | | 3:2 | 3:0 | 1:3 |
| ბულგარეთი | 2:3 | | 1:1 | 2:5 |
| მაროკო | 0:3 | 1:1 | | 1:2 |
| გფრ | 3:1 | 5:2 | 2:1 | |

### სალვადორელებთან მატჩში გატანილი გოლების ავტორი



ა. ბიშოვეცი

● ხალისკოს შტატის ხელმძღვანელებმა გამოაცხადეს, რომ ისინი დააჯარიმებენ მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტს, იმის გამო, რომ ინგლის-ბრაზილიის 7 ივნისის მატჩზე გაყიდულ იქნა უფრო მეტი ბილეთი, ვიდრე ნავარაუდევი იყო. საორგანიზაციო კომიტეტის მესვეურები ამტკიცებენ, რომ ეს ზედმეტი ბილეთები ყალბი იყო.

● მექსიკის პრესა ბევრს წერს მეოთხედფინალური მატჩების თაობაზე. რეპორტიორები „საპატიო კვარცხლბეკზე“ აყენებენ გფრ-ის ნაკრების თავდამსხმელს მიულერს, რომელმაც 7 ბურთი გაიტანა. მიულერს კი მხოლოდ ერთი სურვილი აქვს, ნახოს ინგლისელი მეკარე ბენქსი როგორ გამოიტანს ბურთებს საკუთარი ბადიდან.

● ხალისკოს შტატის ხელისუფლებმა (როგორც ცნობილია, აქ ტარდებოდა მესამე ჯგუფის გუნდების წაჩრები) 1969 წლის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს ბ. ჩარლტონი. შტატის გუბერნატორმა ასენიომ ინგლისელ ფეხბურთელს სამახსოვრო მედალი და სიგელი გადასცა. ჩარლტონის დამსახურებას არ უარყოფენ, მაგრამ ამასთან ერთად ადგილობრივი წრეები თვლიან, რომ ეს ჯილდო ინგლისის ნაკრებისა და მექსიკელი გულშემატკივრების დაზავების ნიშანს უფრო ჰგავს. ხომ გახსოვთ, როგორ უსტვენდნენ მსოფლიო ჩემპიონებს ადგილობრივი მაყურებლები.

● ბელგია-მექსიკის მატჩის შემდეგ ბევრ ჟურნალისტს მოჰყავს ბელგიის ნაკრების მწვრთნელის გუტალსის სიტყვები: „მექსიკელთა სასარგებლოდ დანიშნული პენალტი პირდაპირ თაღლითობა იყო“.



## კენჭი...

### ყველაფერი გაირკვა

მეხიკოში მოხდა კენჭისყრა იმის დასადგენად, თუ როგორ განაწილდებოდა ადგილები I ჯგუფში, სადაც სსრ კავშირისა და მექსიკის გუნდებს ქულათა თანაბარი რაოდენობა ჰქონდათ და გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობაც ერთნაირი გააჩნდათ.

კენჭისყრამ ჯგუფში I ადგილი მიაკუთვნა სსრ კავშირს, ხოლო II — მექსიკას. ამრიგად, მეოთხედფინალში საბჭოთა ფეხბურთელები მეხიკოში მიიღებენ ურუგვაელებს, ხოლო მექსიკელები პუებლას გაემგზავრებიან იტალიელებთან სათამაშოდ.

ბრაზილია გვადალახარაში მიიღებს პერუს ნაკრებს, ხოლო ინგლისელები ლეონში ითამაშებენ გფრ-ის ნაკრებთან.

ყველა მეოთხედფინალური მატჩი შედგება 14 ივნისს.

## პირველად და რეკორდით

მოსკოვი, 12 ივნისი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ორ დღეს გაგრძელდა მესამე საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „პრავდის“ პრიზზე. შეჯიბრების პროგრამაში მხოლოდ რბენა იყო. ტურნირში სსრ კავშირის 500 და 9 სხვა ქვეყნის 40 სპორტსმენი მონაწილეობდა.

პირველი გამარჯვებული 400 მეტრზე თარჯრბენში გამოვლინდა. ეს გახლდათ მინსკელი ვ. მიასნიკოვი, რომელმაც 51,4 წამი აჩვენა. საინტერესო იყო 400 მეტრზე რბენა. ქალებში სამივე საპრიზო ადგილი საბჭოთა მძლეოსნებს დარჩათ. ს. შტულმა წლეულს სსრ კავშირში ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი (55,1) აჩვენა და 0,1 წამი მოუგო ლ. ფინოგენოვას. III ადგილზეა ტ. ემელიანოვა — 55,3. ვაჟებში იმარჯვა მ. ცებესმა (გდრ) — 47,2, ა. ბრატჩიკოვმა მასთან 0,1 წამი წააგო, ბ. სავჩუკი III ადგილს დასჯერდა — 47,5.

100 მეტრზე რბენაში საპრიზო ადგილების გასარკვევად ფოტოფინიშის გამოყენება გახდა საჭირო. მან უპირატესობა მიაკუთვნა ნ. ბესფამილნაიას — 11,7. გ. ბუხარინამ, ლ. გოლომაზოვამ და სსრ კავშირის ჩემპიონმა გ. მიტროხინამ ერთნაირი შედეგები (11,8) აჩვენეს, ადგილები კი ამავე თანმიმდევრობით გაინაწილეს.

ვაჟთა ასპარეზობაში გაიმარჯვა ვ. საპეიამ — 10,4. II და III ადგილებზე გავიდნენ ა. კორნელიუკი და ა. ლებედევი — ორივე — 10,5.

პირველ დღეს 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში წლეულს მსოფლიოში საუკეთესო შედეგი აჩვენა მსოფლიოს ექს-რეკორდსმენმა ვ. კუდინსკიმ, რომელმაც ამჯერად ამ დისტანციის გარბენას 8 წუთი და 30,8 წამი მოანდომა.

ორი დამსახურებული გამარჯვება ხვდა წილად რ. შარაფეტდინოვს, რომელმაც 5.000 მეტრზე წლეულს სსრ კავშირში საუკეთესო მაჩვენებლით (13.42,6) იმარჯვა. მეორე დღეს მან 10.000 მეტრზე სცადა ძალა. ამ დისტანციას შარაფეტდინოვი პირველად შეეჭიდა, გაიმარჯვა და ლენინგრადის რეკორდიც დაამყარა — 28.52,2. აღსანიშნავია, რომ მასთან ბრძოლას ვერ გაუძლო ევროპის რეკორდსმენმა ი. ჰააზემ (გდრ) და მეექვსე კილომეტრზე რბენა შეწყვიტა. სამაგიეროდ, ჰააზეს თანაგუნდელმა გ. ჰოფმაისტერმა 1500 მეტრზე რბენა მოიგო — 4.20,0. ამ სახეობაში მეორე იყო ლ. ბრაგინა — 4.20,9.

## ვინ ვის?

12 ივნისი. (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ ლუჟნიკის მცირე სარბიელზე დაიწყო დევისის თასის გათამაშების ევროპული „ბ“ ზონის ნახევარფინალური შეხვედრა ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის ჩოგბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის.

თავდაპირველად მოედანზე გამოვიდნენ სსრ კავშირის ექსჩემპიონი თ. ლეიუსი, ჩეხოსლოვაკიისა და საფრანგეთის ახლახან დამთავრებული ღია პირველობის ჩემპიონი ი. კოდეში. ლაპარაკი იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩოგბურთში გუნდური ბრძოლის თითოეული შეხვედრის მოგებას, ვფიქრობთ, ზედმეტია. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ პრინციპული იყო თვით ამ სპორტსმენების შეხვედრა. საქმე ისაა, რომ ლეიუსი და კოდეში მანამდე ერთმანეთს ოთხჯერ შეხვდნენ და თითოეულს 2-2 მატჩი აქვს მოგებული. გუშინ ლეიუსმა პირველი ხელი შესანიშნავად ჩაატარა და მოიგო კიდეც — 6:2. შემდეგ ინიციატივას ჩეხოსლოვაკიელი დაეუფლა და 3 ხელის ზედიზედ მოგებით (6:3, 6:3, 7:5) გუნდს პირველი ქულა მოუტანა.

სსრ კავშირის ჩემპიონის — ა. მეტრეველის მეტოქე ი. კუკალი გახლდათ. მანამდე ეს ჩოგბურთელებიც რამდენჯერმე შეხვედრიან ერთმანეთს და გამარჯვების სასწორი ყოველთვის მეტრეველის მხარეს იხრებოდა. ამჯერადაც ასე მოხდა, თბილისელმა სპორტსმენმა ერთობ იოლად დააყრევინა ფარ-ხმალი თავის მეტოქეს — 6:1, 6:0, 6:2.

მაშ ასე, პირველი დღის შემდეგ გუნდური შეხვედრის ანგარიში იყო 1:1.

## ახალი ამბები

● კიევი, 11 ივნისი. აქ გაიმართება სახელმოხვეჭილი საბჭოთა მძლეოსნების — ძმები ზნამენსკების მემორიალი, რომელშიც 16 ქვეყნის 600 სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას.

● ტულა, 11 ივნისი. აქ გამართულ ველოსიპედისტთა შეჯიბრებაში — „ტულის დიდი პრიზი“, დიდი ინტერესი გამოიწვია სპრინტერ ვაჟთა ასპარეზობამ. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ძველი მეტოქეები — ფრანგი დ. მორელონი და ო. ფხაკაძე. ამ უკანასკნელმა ერთ-ერთ მოსახვევში თავი ვერ შეიკავა და დაეცა. გაიმარჯვა ფრანგმა სპორტსმენმა. ფხაკაძე მეორე იყო. III ადგილი დაიკავა ი. ცელოვალნიკოვმა (ხარკოვი). 75 კილომეტრზე ჯგუფურ რბოლაში (25 საშუალედო ფინიშით) თავი გამოიჩინა საბჭოთა სპორტსმენმა ვ. ბიკოვმა, რომელმაც 27 ქულა მოაგროვა. გამოდევნებით გუნდურ რბოლაში ყველას აჯობა სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა.

## ა. გოლუბოვიჩის რეკორდი არ ჩაეთვლება

ამას წინათ ვიუწყებოდით, რომ საშუალო წონის ათლეტმა ა. გოლუბოვიჩმა ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ნიმბურკში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა აჭიმვაში — 175,5 კგ. მაგრამ, სამწუხაროდ, ვინაიდან ამ შეჯიბრებაში საკმარისი რაოდენობის საერთაშორისო კატეგორიის არბიტრები არ მსაჯობდნენ, საბჭოთა ძალოსანს მსოფლიო რეკორდი არ ჩაეთვლება. ამავე მიზეზით მსოფლიო რეკორდი არ ჩაეთვლება ფინელ ძალოსან ი. მურსუს (ქვესაშუალო წონა), რომელმაც ამას წინათ 162,5 კგ აჭიმა. სხვათა შორის, ფინელი ათლეტი არც ევროპის ჩემპიონატში გამოვა, ვინაიდან უარი თქვა შესარჩევ შეჯიბრებაში მონაწილეობაზე. იგი საცხოვრებლად შვეციაში გადასვლას და მიუნჰენის 1972 წლის ოლიმპიურ თამაშებში ამ ქვეყნის სპორტული ღირსების დაცვას აპირებს.

უფრო იღბლიანი გამოდგა შვედი ათლეტი ჰ. ბეტენბორგი (საშუალო წონა), რომელმაც იმდენივე აჭიმა, რამდენიც გოლუბოვიჩმა, მაგრამ წესების სრული დაცვით. ეს მოხდა შვეციისა და ჩეხოსლოვაკიის ძალოსანთა საერთაშორისო შეხვედრაში, რომელიც სტუმართა (ჩეხოსლოვაკიელების) გამარჯვებით დამთავრდა — 7:2. შეჯიბრებაში ორივე ქვეყნის 10 ეროვნული რეკორდი დამყარდა.

* * *

საბჭოთა ათლეტების ძირითადმა მეტოქეებმა მსოფლიო და ევროპის ფიცარნაგზე — პოლონელმა ძალოსნებმა თავიანთი ქვეყნის საიუბილეო, მე-40 ჩემპიონატი გამართეს. ევროპის პირველობისთვის უკეთ მომზადების მიზნით, ისეთმა ძლიერმა ათლეტებმა, როგორიც არიან სმალცეჟი, შოლტისიკი, ტრებიცკი და ბაშანოვსკი, უფრო მძიმე წონით კატეგორიაში გადაწყვიტეს გამოსვლა. კიდევ ერთხელ დაამტკიცეს მაღალი კლასი ბაშანოვსკიმ და კაჩმარეკმა. პირველმა პოლონეთის ახალი რეკორდი დაამყარა სამჭიდში ქვესაშუალო წონის ძალოსანთა შორის. აჭიმვაში ნული მიიღეს და ბრძოლას გამოეთიშნენ ოზიმეკი და გოლომბი. სმალცეჟმა და შოლტისიკმა ყოველ მოძრაობაში მხოლოდ თითო ცდა გამოიყენეს, ვინაიდან ახლახან გადატანილი ტრავმები კიდევ აწუხებდათ.

ასე ემზადებიან ევროპის ჩემპიონატისთვის ათლეტები. როგორც ცნობილია, ეს შეჯიბრება გაიმართება უნგრეთის ქალაქ სომბათხეიში 20-28 ივნისს.

## სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი




## 84:75

გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის გამოტოვებული მატჩი ცსკა-სა და მოსკოვის „დინამოს“ შორის. ანგარიშით 84:75 (41:42) გაიმარჯვეს არმიელებმა.

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 6 უე 03281